



**მეოთხე სამუშაო ჯგუფის**

**კონფლიქტის ტრანსფორმაციის ქვეჯგუფის შეხვედრის ოქმი**

თარიღი: 21 აპრილი, 2017 წელი

დრო: 16:00 – 18:00 საათი

შეხვედრის ადგილი: ასოციაცია თანხმობის ოფისი

**შეხვედრას ესწრებოდნენ:**

1. ქვეჯგუფის კოორდინატორი, იძულებით გადაადგილებულ ქალთა ასოციაცია "თანხმობა" - იულია ხარაშვილი
2. იძულებით გადაადგილებულ ქალთა ასოციაცია "თანხმობა" - ლიკა მარღანია
3. მერი გელაშვილი - მეწარმე ქალთა ფონდი
4. ლეილა ნაროუშვილი - რეპატრიანტთა კავშირი
5. გეოპოლიტიკური კვლევების საერთაშორისო ცენტრი - ნატო ბაჩიაშვილი
6. ფერმერთა უფლებების დაცვის ასოციაცია - ნანა ფიროსმანაშვილი
7. დემოკრატიულ ინიციატივათა საერთაშორისო ცენტრი - ტატო ირემაძე
8. ასოციაცია „იმედი“ დევნილ ქალთა მოძრაობა მშვიდობისთვის - ქრისტინა კილანავა

**განსახილველი საკითხები:**

- ქვეჯგუფის 2017 წლის სამოქმედო გეგმა;
- დევნილთა სოციალურ-ეკონომიკური სიტუაცია: რა შეგვიძლია შევთავაზოთ სახელმწიფოს?;
- ახალი რეალობა გალის რაიონში - როგორ იმოქმედა მოსახლეობაზე ორი გამშვები პუნქტის დახურვამ? რა შესაძლებლობა აქვს ქვეჯგუფს გალის მოსახლეობის უფლებების დასაცავად?;
- სხვა.

სამუშაო ჯგუფის შეხვედრა გახსნა ქვეჯგუფის კოორდინატორმა, დამსწრეებს გააცნო შეხვედრის დღის წესრიგი და სთხოვა ქვეჯგუფის წევრებს წარედგინათ საკუთარი ორგანიზაციები.

პირველ საკითხად ქვეჯგუფმა განიხილა დევნილთა სოციალურ-ეკონომიკური სიტუაცია. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა ფულად შემწეობასთან დაკავშირებით დაგეგმილ საკანონმდებლო ცვლილებებზე, რომლის მიხედვითაც ვისაც უკვე აქვს მიღებული მდგრადი განსახლება, ეხსნებათ მათზე დანიშნული ფულადი დახმარება. ქვეჯგუფმა იმსჯელა აღნიშულ საკითხზე და ხაზგასმით აღინიშნა, რომ ამგვარი სისტემა გახლავთ უსამართლო და მსგავსი მიდგომა არ არის მათთვის მისაღები. გარდა ამისა, საკითხი საჭიროებს კვლევას, რეალური საჭიროების გამოვლენას, ფართო დისკუსიების მოწყობას სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებთან, ექსპერტებთან და მხოლოდ შემდეგ უნდა დაიწყოს რეფორმა.

საკითხთან დაკავშირებით, ქვეჯგუფის კოორდინატორმა აღნიშნა, რომ მათ, რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციასთან ერთად, გაავრცელეს მიმართვა დევნილთათვის გამოყოფილი თანხების მათ საჭიროებებზე მორგებისა და მოწყვლადი დევნილების დახმარების საბოლოო მოდელის შესახებ, თუმცა სამწუხაროდ გამოხმაურება არ მოჰყოლია.

ამასთანავე, იძულებით გადაადგილებულ ქალთა ასოციაცია "თანხმობის" წარმომადგენლის განცხადებით მათ ასევე ჩაატარეს კვლევა და შეიმუშავეს კონკრეტული წინადადებები. გამოითქვა მოსაზრება შემუშავებული წინადადებები გავრცელდეს ქვეჯგუფში და დამუშავების შემდგომ ქვეჯგუფის (ინტერესის შემთხვევაში კი ჯგუფის ან მთლიანი პლატფორმის) სახელით მიეწოდოს შესაბამის პასუხისმგებელ სტრუქტურებს.

შეხვედრის მიმდინარეობისას გამოითქვა წუხილი, რომ პლატფორმაში ხშირად არ მიმდინარეობს მსჯელობა კონფლიქტის შედეგად დაზარალებული თემების პრობლემატიკაზე, დევნილთა საკითხებზე და სხვა.

ქალბატონმა იულია ხარაშვილმა წამოაყენა წინადადება პლატფორმამ, კერძოდ კი მეოთხე სამუშაო ჯგუფმა დაგეგმოს შემდეგი ღონისძიებები:

- იძულებით გადაადგილებულ პირთა საზოგადოების სიტუაციური ანალიზის მომზადება;
- დევნილთა შესახებ სტრატეგიის განახლებაში აქტიური მონაწილეობის მიღება, ამ მიზნით - დევნილთა საზოგადოებაში ფართო დისკუსიების, კვლევის და გამოკითხვების ჩატარება, ამ საკითხზე მრგვალი მაგიდის მომზადება;
- კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ თემებში ქალთა და გოგონათა უფლებების განხორციელების მონიტორინგი, მათი სამოქალაქო აქტივიზმის გაზრდა, ქალთა ლიდერობის პროგრამების განხორციელება;
- "ქალი, მშვიდობა, უსაფრთხოება" - ს დღის წესრიგის აქტუალიზაცია მეოთხე სამუშაო ჯგუფის ფარგლებში/ და რეგიონალურ დონეზე ერთობლივი კონსულტაციების ჩატარება

მან ასევე ყურადღება გაამახვილა, ხანდაზმულთა უფლებებზე. როგორც ქალბატონმა იულიამ აღნიშნა, სახელმწიფოს მიღებული აქვს ღირსეული დაბერების კონცეფცია,

რომელიც გახლავთ სახელმწიფო პოლიტიკის დოკუმენტი. კონცეფციის მიღების შემდეგ მთავრობის მიერ უნდა შემუშავებულიყო სამოქმედო გეგმა, თუმცა გეგმის შემუშავება ჭიანჭურდება. ქალბატონი იულიას წინადადებით, სასურველია პლატფორმამ ამ საკითხებზეც იმუშაოს.

ქვეჯგუფის წევრებმა ყურადღება გაამახვილეს კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების მიზნით, კონფლიქტის შედეგად დაშორიშორებულ საზოგადოებებში, ხალხთაშორის კონტაქტების, ნდობის აღდგენის და შერიგების პროცესში პლატფორმის ჩართულობის გააქტიურებაზე.

შეხვედრის დასასრულს ქვეჯგუფმა უმასპინძლა კათოლიკური დახმარების სამსახურის (Catholic Relief Services) წარმომადგენლებს, რომლებიც ორგანიზაციასთან ერთად, „საქართველოს კარიტასი“, აქტიურად მუშაობენ პროექტის შემუშავების საკითხზე, რომელიც უნდა დაფინანსდეს USAID-ის მიერ. პროექტი მიზნად ისახავს კონტაქტების გაღრმავებას ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიასა და დანარჩენ საქართველოში მცხოვრებ ხალხთა შორის.

ქვეჯგუფის წევრებმა სტუმრებს გაუზიარეს საკუთარ გამოცდილება და მიაწოდეს მათ მნიშვნელოვანი, პრაქტიკული ინფორმაციები, ასევე გამოითქვა თანამშრომლობის სურვილი პროექტის მიმდინარეობისას.

ორსაათიანი მსჯელობის შემდეგ ჯგუფის შეხვედრა დასრულდა.

შეხვედრის მდივანი: სალომე სიჭინავა.